საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ. [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - სახელმწიფო ბაჟით განსაზღვრული თანხის მომსახურების მომთხოვნი პირისათვის უკან დაბრუნების დამატებითი მექანიზმების შექმნის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№: 1-1348/23
„26“ 01 2023 წ. ფურცლ. 2

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

სახელმწიფო ბაჟით განსაზღვრული თანხის მომსახურების მომთხოვნი პირისათვის უკან დაბრუნების დამატებითი მექანიზმების შექმნის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.
- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** საქართველოში რამდენიმე ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრული აქვს უფლებამოსილება რიგი სერვისები მიაწოდოს დაინტერესებულ ფიზიკურ პირებს, რომლის ფარგლებში არა მართო მომსახურების გაწევის ვადები, ტარიფები და შეღავათები არის დადგენილი, არამედ ის საფუძვლებიც, რომლის არსებობის შემთხვევაში მომსხურების მომთხოვნ პირს ეძლევა გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესაძლებლობა. მაგალითად:

შსს მომსახურების სააგენტო	**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო**	**საკონსულო თანამდებობის პირები**
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად	საქართველოს მთავრობის 29/12/2011 508 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის 1-3 პუნქტები	საგარეო საქმეთა მინისტრის 21/09/2018 01-210 ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლიი
დაინტერესებულ პირს გადახდილი საფასური მთლიანად ან ნაწილობრივ უბრუნდება, თუ: ა) მან მომსახურების ან/და დაჩქარებული მომსახურების გაწევის თაობაზე <u>განაცხადის შეტანამდე მოითხოვა გადახდილი საფასურის დაბრუნება</u>; ბ) საფასური <u>გადახდილია ამ კანონით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით</u>. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და ამ კანონით განსაზღვრულ განაკვეთს შორის; გ) მან გადაიხადა საფასური, მაგრამ იგი ამ კანონის შესაბამისად <u>საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებული პირია;</u> დ) დაჩქარებული მომსახურება არ განხორციელდა დაინტერესებული პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა	სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ: ა) დაინტერესებული პირი შესაბამისი მომსახურების შესახებ <u>განაცხადის რეგისტრაციამდე უარს განაცხადებს მომსახურების მიღება-ზე;</u> ბ) დაინტერესებული პირის მოთხოვნა <u>არ დაკმაყოფილდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო</u>. 2.ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როცა დაინტერესებული პირის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სააგენტოსგან დამოუკიდებელი მიზეზით და მიღებულია	გადახდილი საკონსულო მოსაკრებელი ექვემდებარება უკან დაბრუნებას, თუ: ა) დაინტერესებული პირი შესაბამისი მომსახურების შესახებ <u>განცხადების რეგისტრაციამდე უარს განაცხადებს მომსახურების მიღებაზე;</u> ბ) საკონსულო მომსახურების გაწევისას საკონსულო თანამდებობის პირის მიერ <u>დოკუმენტები შედგენილი ან/და გაცემული იქნა არასწორი მონაცემებით,</u> თუ დაინტერესებულ პირს აღარ სურს მომსახურების ხელახლა მიღება; გ) <u>მომსახურების</u> ნაწილობრივ ან სრულად გაწევა <u>ვერ განხორციელდა განმცხადებლისა</u>

დაჩქარებული მომსახურებისათვის და დაჩქარების გარეშე მომსახურებისათვის დადგენილ საფასურებს შორის; ე) მოთხოვნილია ისეთი <u>მომსახურება, რომლის გაწევაც არ განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას;</u> ვ) სააგენტო კანონიერი საფუძვლის არსებობისას <u>უარს აცხადებს მომსახურების გაწევაზე.</u>	კანონიერი გადაწყვეტილება უარის შესახებ. 3.თუ დაინტერესებული პირი მისგან დამოუკიდებელი მიზეზით <u>ვერ მიიღებს მომსახურებას მის მიერ გადახდილი საფასურის შესა-ბამისად მოთხოვნილ ვადაში და სურვილი აქვს ისარგებლოს სხვა ვადით, რომლისთვისაც ეს დადგენილება ითვალისწინებს ნაკლებ საფასურს,</u> მაშინ დაინტერესებულ პირს დაუბრუნდება სხვაობა ამ ორ საფასურს შორის. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, უარი თქვას მომსახურებაზე და მოითხოვოს გადახდილი საფასურის სრულად დაბრუნება.	<u>და დაწესებულებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების</u> (მათ შორის, ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებების, მეტეოროლოგიური პირობების, საგანგებო სიტუაციების, საომარი მდგომარეობის, სხვა ფორსმაჟორული გარემოებების) გამო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი; დ) საკონსულო მოსაკრებელი <u>გადახდილია იმ პირის მიერ, რომელიც სარგებლობს</u> ,,საკონსულო მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი შესაბამისი <u>შეღავათით</u> საკონსულო მოსაკრებლის გადახდაზე; ე) საკონსულო მოსაკრებელი გადახდილია ,,საკონსულო მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით ან ისეთი მომსახურებისათვის, რომლისთვისაც არ არის გათვალისწინებული საკონსულო მოსაკრებლის გადახდა.

საგულისხმოა, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით (მე-4 მუხლი), გარდა სამართლებრივ დავებთან დაკავშირებული განაკვეთების განსაზღვრისა, გვხდება რიგი ადმინისტრაციული ორგანოების (შსს, საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიცია) მიერ გაწეული მომსახურებისათვის (ვიზა, დოკუმენტის/ საკონსულო ლეგალიზაცია, საბუთის გამოთხოვა) გათვალისწინებული ტარიფები. თუმცა, განსხვავებით სასამართლო საქმის შეწყვეტის ან სარჩელის განუხილველად დატოვებისა, კანონის მე-6 მუხლით არ არის განსაზღვრული ის გარემოებები, რომლის საფუძვლადაც მოხდებოდა მომსახურების გაწევის მიზნით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** მომსახურების მომთხოვნ პირთა უფლებების და ინტერესების დაცვის პრობლემა.

ზემოაღნიშნული გამოწვევის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით (მე-3 პუნქტის შემდგომ) ასევე განისაზღვროს სახელმწიფო სერვისების მისაღებად შეცდომით ან სხვა გარემოებებით გადახდილი ბაჟის თანხის უკან დაბრუნების საფუძვლები. მაგალითად - ზედმეტად ან არასწორად გადახდილი თანხისმათ შორის განაცხადის რეგისტრაციამდე ან განაცხადის მიღებიდან გონივრულ ვადებში ბაჟის უკან დაბრუნების შესაძლებლობა[1]; უფლებამოსილი ორგანოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო მომსახურების ხელახლა მიღებაზე უარის თქმის ან/და ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობით ვერ გაწეული მომსახურების შემთხვევაში. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, თანხის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით დანერგილი პრაქტიკის სათანადოდ შესწავლა და გათვალისწინება.

❖ საკანონმდებლო წინადადების ავტორი:

- საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted]
- მცხ.: [redacted]; საფოსტო ინდექსი [redacted]
- ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]



25/01/2023

[1] თუ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს 2015 წლის 8 მაისის კანონით (3603-რს; ძალაში შევიდა 2015 წლის 15 მაისს) სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებს, გამოდის, რომ 09/02/2015-დან15/05/2015-მდე პერიოდში e-VISA PORTAL-ით საკონსულო დეპარტამენტის მიერ სავიზო განაცხადების განხილვისათვის, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თითოეული მომსახურების გაწევისათვის მიიღებოდა სახელმწიფო ბაჟი 20 აშშ დოლარის ოდენობით. მოცემულ სამ თვიან პერიოდში შესაძლოა ვივარაუდოთ არანაკლებ 50 ათასი საქმე, რომელზეც ალბათ უნდა დამდგარიყო ბაჟის სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნების საკითხი.